№ 90. 26 აპრილი, ხუთშაბათი. 1866—1884 26 აპრილი, ხუთშაბათი. № 90.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

ისე ივანეს-ძე ელიოზოვი და ეფემია ისეს ასული მორთულაძისა-გულითადის მწუხარებით აუწყებენ: პირველი შვილისა და მეორე ძმისა **ალექსანდრეს** გადაცვლას, სთხოვენ ნათესავთ და მეგობართა მობძანდენ განსვენებულის სხეულის გამოსვენების დროს საკუთარ სახლში ანჩისხატის ეკლესიაში, დღეს დილის 10 საათზედ. (2—2)

ოთხს მომავალს მაისს, საღამოს შვიდ საათზედ, თავად-აზნაურობა იქნება მოწვეული განსაკუთრებითს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებაში, გამოსაცხადებლად ხელმწიფე იმპერატორის სურვილისა, რომლითაც ეპატიათ თავად-აზნაურობას ნახევარი ნაწილი ვალი, რომელთაცა აქვთ დაგირავებული სოფლის მამულები საქართველოს პრიკაზში.

ვაცნობებ რა ამაზედ თავად-აზნაურობას თბილისის გუბერნიისასა და უმორჩილესად ვსთხოვ მობძანდენ აღნიშნულს დროზედ გუბერნიის კრებაში, რომელიც იქმნება, იმ სახლებში სადაცა მე ვსდგევარ.

თბილისის კეთილშობილთ გუბერნიის წინამძღოლი გენერალ-მაიორი
თ. დავით სუმბათოვი.

(3—2)

«დროების» ფელეტონი 26 აპრილი.

კმარა!

კმარა!... აღარ მაქვს მე შეძლება!... ვერ ითმენს გული...
ბოღმით და შხამით მთლად აივსო,—აგერ გასკდება!..
ოჰ, ბედის-წერავ! შენ იშოვნე, ჰქმენ იგი კრული,
მაგრამ ნუ ხარობ: ჯერ ისევ ფეთქს მაგრად,—არ კვდება!...

—

კმარა!. შეგუბულთ, დახშულთ გრძნობათ მე მივსცემ გზასა!...
დე მათ გამოსცენ, ვით სიმებმა, ახალი ხმები!...
ხმები, რომელნიც არ იცნობდენ წინედ ჩემს ჩანგსა,
მწარს სიმართლეზედ მე მას მოვრთავ, რომ თრთოდენ მთები...

—

კმარა!.. წყვდიადი არ მაშინებს გარს შემორტყმული...
მინდა სინათლეს მამაცურად ჩავხედო თვალში...
თუნდაც რომ ძვირად ეგ დამიჯდეს,—თუნდ გასკდეს გული
თუნდ არ მეღირსოს, დავიმარხო მშობელს მიწაში!!...

დიმ. გრემელი.

ქართული თეატრის პამპულები

თბილისი, 26 აპრილს.

რაც დრამატიული საზოგადოების მმართველობამ ყური მოიყრუა და თეატრს თავი მიანება, არტისტების საქმე სრულიად აირია, წარმოდგენების გამართვა დაიწყეს სხვა-და-სხვა «მოყვარეებმა», რომელნიც ბულვარებზედ, და ოჯახობაში დარბიან და საზოგადოებას ბილეთების მიჩეჩებით თავს აძულებენ.

ამ ვითომც ქველ-მომქმედ სცენის მოყვარეების თავ-გასვლა მით უფრო გაძლიერდა, რომ თავ-დანებებულს დრამატიულს დასში უთანხმობა და ერთმანეთში წინააღმდეგობა ჩამოვარდა და ამის მიზეზით-კი მათგან დანიშნული წარმოდგენები ხშირად გადიდებოდა ხოლმე. კაცს ვერ გაუგია, ვინა მართავს წარმოდგენას, ვინ არის მოთავე და ვის სასარგებლოდ მიდის ფული. მხოლოდ ერთი სამწუხარო ჭეშმარიტება აშკარადა სჩანდა და ეს გახლავთ მოსწავლე ბავშვების, საქმეში გარევა რომელთაც თავიანთ პირ-და-პირი საქმისათვის თავი დაუნებებიათ და მის მაგიერ ბილეთების სყიდვას გამოსდგომიან. ამ უწესო მოქმედების შედეგი ის არის, რომ რამდენიმე მოწაფემ სწავლას თავი დაანება და სამუდამოდ თავი დაიღუპა.

ამ გვარისავე გაუგებარის განზრახვით იმართებოდა წარსულს ზამთარს წარმოდგენები და ხარჯი სად მიდიოდა, კაცი გადაწყვეტილს ვერ იტყვის, რადგანაც გამოცხადებული არსადა ყოფილა.

მაგრამ ხარჯს ჯანი გავარდეს, თუ მსურველები არიან ამისთანა წარმოდგენებზედ ფული გადაყარონ, თავიანთი ნება არის, ვერავინ დაუშლის, მაგრამ დრამატიული საზოგადოების ზნეობითი მოვალეობაა თვალ-ყური ადევნოს, რომ დრამატიული წარმოდგენების მაგიერ კლოუნების მალაყებს არ უყურებდეს საზოგადოება და თეატრის წმინდა საქმეზედ დამახინჯებულს წარმოდგენას არ ირდგენდეს.

ყველასთვის აშკარა არის, რომ თეატრი საზოგადოდ ყველგან და ჩვენში განსაკუთრებით ზნეობითი გამწვრთნელს ადგილს შეადგენს და, მაშასადამე, ყოველივე წარმოდგენა სიფთხილით და არჩევით უნდა ინიშნებოდეს.

ეს არა ხდება იმ სხვა-და-სხვა სცენის მოყვარეებისაგან, რომელთაც აღვირი წაუყრიათ, სრულიად უსირცხვილოდ საზოგადოებასა ჰყვლეფენ და წარმოდგენების მაგიერ რაღაცა სატაკიმასხარო საღამოებსა მართვენ.

ავიღოთ თუნდა მაგალითად წარსული კვირის წარმოდგენა, რომელიც ქუკიაში, ვილაცა ზარაბლოვის სახლებში იყო გამართული.

წარმოსადგენად დანიშნული იყო ისტორიული დრამიდგან თამარ-ბატონიშვილის მე-4 და მე-5 მოქმედება!! წარმოიდგინეთ ისტორიული დრამა ზარაბლოვის ერთი ციცქნა სცენაზედ, სადაც თაგვი კუდს ძლივს მოიქნევს! მასხარად აგდება არ არის საზოგადოებისაც და თითონ თეატრის წმინდა დანიშნულობისაც!

კიდევ საკვირველი ის არის, რამ აიძულა ამ წარმოდგენის გამმართველი, რომ მე-5-თე მოქმედება „თამარ-ბატონიშვილისა» დასდგა? ყველა დამეთანხმება, რომ საზოგადოდ პიესების იმ გვარი სცენების დადგმა, რომელნიც ცალკე დაბოლოებულს ნაწყვეტს არ შეადგენენ, უმნიშვნელოც არის და უსაგნოც; «თამარ-ბატონიშვილის» მეხუთე მოქმედება კი სწორედ ასეთი არის.

«თამარ-ბატონიშვილის» მე-5-თე მოქმედება არც იმ აზრით დაიდგმის, რომ არტისტმა თავი იჩინოს და თა-

საარჩევანო ცხელება ქუთაისში

მალე დადგება მაისი, ის მაისი რომლის დამლევს მთელი ლიხთ-იმერეთი ნაცვლად ხმლისა მოილესავს ენას და მეკენჭეთა ლაშქარი კი თოფის წილ გაიტევს თავს სხვა-და-სხვა ზოგად ფრაზებით, მოიმარჯვებს (ნამდვილს თუ ყალბს, ეს ძნელი გასარჩევია!) ვექილობებს ჯიბეში და გამომგზავრდება არჩევანის ასპარეზზე... გენერალური ბრძოლის ველად მისთვის იქნება ხარაზოვის შენობის დარბაზი, წინასწარ კინწლაობისათვის და სათარეშოდ კი ბაღები, სასტუმროები, კერძო პირთა სახლები და სხვ.

ბრძოლის მიზეზი და გამარჯვებულის დამგვირგვინებელი იქნება—ჩვენი სააზნაურო ბანკის თავმჯდომარის სავარძელი, ეგ ფეხ-წასამტვრევი მანგის ქვა ლიხთ-იმერეთის ყოველივე პატივმოყვარე კაცისა... ჩვენი ადგილის ბისმარკის, თავადის ბახვა ფალავას კალენდარი წინასწარ-მეტყველებს: «მწარე, ხანგრძლივი და ჩვეულებრივზე ბევრად უფრო ხრიკიანი იქნება წლევანდელი «მშვიდობიანი» ომიო.... «ძლევა დარჩება იმ მხარეს, რომელსაც უმეტესი ნდობა ექნება საკრემსა შინაო»... და ადგილობრივმა საზოგადოებამ გამოცდილებით იცის, რომ ყველა ლიხთ-იმერულ ცოცხალ კალენდრებზე უფრო სარწმუნო ბახვას კალენდარია...

მართლაც, იმისთანა ნიშნები სჩანან, იმისთანა ნიავი ბიბინებს ჰაერში, რომ მაინც-და-მაინც დიდი წინასწარმეტყველობა არ არის საჭირო, იმის სათქმელად, რომ წლევანდელი არჩევანი ქუთაისის სააზნაურო ბანკის თავსმჯდომარისა ჩვეულებრივზე უფრო მწარე, ხანგრძლივი და ხრიკიანი იქნებაო ..

ნ. ბ. ღოღობერიძემ რამდენჯერმე უკვე გამოუცხადა თავის მახლობელთ და საარჩევანო სარდლებს, რომ, „დასუსტებულის ჯანმრთელობის გამო აღარ მსურს კენჭის ყრაო“... ამ სიტყვებმა ის გამოიწვიეს, რომ მთელს გროვას გონებითი და ზნეობითი ლილიპუტებისას, ჩვენებურად რომ ვთქვათ ნაცარ-ქექიებს—აუშალა ამ თანამდებობაზე კენჭის-ყრის საღერღელი და არიან ერთს ფუს-ფუსში და ქსელთა ქსოვაში. ოღონდაც, მათგან ღელოს გატანა შეუძლებელია, მაგრამ რაც უნდა იყოს, წყალის მეტ-ნაკლებად ამღვრევას ხომ მაინც შესძლებენ... ვინ ისარგებლებს ამ ამღვრევით და ვინ წააგებს? წააგებს საზოგადოება, რომელსაც სისტემატიურად ყოველს თითო და სამს წელიწადში (დირექტორების და თავსმჯდომარის არჩევის დროს) ერთხელ უმზადებენ სამოქალაქობრივო ზნეობის გამრყვნელს და დამამხობელს ხარჩოს... ასე ყოფილა მაინც დღემდის უფრო ხშირად, და თუ წელს სასწაული მოხდება და საქმე უფრო სამოქალაქობრივო პატიოსნებით მოთავსდება—ჩვენ პირველნი დავუკრავთ სადღესასწაულო ნაღარას, და პირველნივე გავუმართავთ მკითხველ საზოგადოებას სამახარობლო საუბარს...

ჯერ-ჯერობით კი საზოგადოებას წარვუდგენთ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს იმ პირთა, რომელთაც ლიხთ-იმერეთში ასახელებენ აქაურ სააზნაურო ბანკის თავსმჯდომარის სავარძლის კანდიდატებად და იმისთანაებს კი, რომელნიც თვითონ ისახელებენ თავიანთ თავს მდუმარებით ჩავუვლით გვერდს. იმედია, საპატიო მკითხველი არ დაგვემდურება ამისათვის...

I

ნ. ბ. ღოღობერიძე.

საწუთრო კაცსა ყოველსა,
ვითა ტაროსი უხდების:
ზოგჯერ მზეა და ცა რისხვით
ზოგჯერა მოუქუხდების!

შოთა.

ახსნა და გაგება იმ ჭექა-ქუხილის და ზათქი-და-ზარისა, რომელსაც

ეის ხელოვნური თამაშობით საზოგადოება დაატკბოს.

მაშ რა მიზეზი იყო ამ პიესის მე-5-თე მოქმედების დადგმისა? წინადვე ვსთქვით, რომ ამ კითხვის გადაწყვეტა ძნელია მეთქი, მაგრამ ჩვენ-კი ისე გვგონია, რომ მიზეზი საქმის გაუგებლობაში უნდა მოვნახოთ. ამისათვისაც დრამის მაგიერ რაღაცა ვოდევილი ფარსი გამოუვიდათ და წარმოდგენის დროს, როდესაც თამარ იკლავს თავს და შალვაც თან მისდევს, იყო საერთო ხარხარი როგორც პუბლიკისა, ისე სცენაზედ მოთამაშე არტისტებისა. უეჭველია, იმის მიზეზით, რომ მსახიობთ კარგად არ გამოურკვევიათ თავიანთ მოვალეობა იმ საზოგადოებისადმი, რომელსაც უნდათ ისტორიული პიესები გააცნონ.

ესევე ხარხარი იყო მე-4-ხე მოქმედებაში, სადაც ოცი წლის განმავლობაში პყრობილად მყოფი მამა ელიზბარ ერისთავი დაკარგულს შვილსა პოულობს და მის მკლავებზედ სულსა ლევს. ამ სცენის დროსაც დიდი კისკისი და სიცილი იყო და მართლადაც ყველასა ჰქონდა ამ გვარი მხიარულების მიზეზი.

ისტორიული ტანისამოსის მაგიერ აქტიორები სცენაზედ გამოვიდენ რაჭველი მუშის ფარაჯებით და როლების სრულის უცოდნელობით. ამის გამო, მეფე, რომელსაც უნდა ეთქვა: «დედის ჩემის თამარის საფლავის მზემა», უეჭველია ლამაზს აქტრისას, რომელიც თამარის როლს ასრულებდა, იგონებს და ამბობს: „ახ, ჩემი ლამაზი თამარის სულის ჭირიმე“. ამ სიტყვებზედ იცინის საზოგადოება, იცინის მეფე, იცინის შალვა და თვით მომაკვდავი ელიზბარიც, რომელიც, ჩვენში იყოს ნათქვამი, სცენიდგან დარბაისლური ქართულის მაგიერ, რაღაცა ახლად შეთხზულს ენაზედ გველაპარაკებოდა. საზოგადოების შორის დიდი ბაასი ასტეხა ამ ახალ-გვარი ენის გაგონებამ და დიდხანს ვერ გადაეწყვიტათ, ან რომელ გვარეულობას ეკუთვნოდა, ან საზოგადოდ ქართულად ლაპარაკობდა, თუ არა?..

ასე სამწუხაროდ გაიარა «თამარ ბატონიშვილის» ორმა მოქმედებამ და ამის შემდეგ წარმოგვიდგინეს სცენა უკანონოდ გაჩენილის დრამიდგან, რომელსაც ავტორმა უწოდა სახელად: «უკანონო შვილი».

გამოხტა იმერელი, გამოხტა გოგო, ილაქლანდარეს, იბლაძუნეს და ბოლოს იმერელმა ცალკე ოთახში მიიწვია გოგო, არ ვიცით რა განზრახვით, რადგანაც ავტორი ამას არ გვატყობინებს.

შემდეგ იყო დადგმული ცხოველი სურათები, რომელზედაც დამდგმელის კეფის, ზურგის და... წვივების მეტი არა დაგვინახავს-რა, რადგანაც ფარდას იმ დროს ასწევდენ ხოლმე, როდესაც ნიჭიერი მოსურათე სურათებს ასწორებდა და როდესაც მათ განშორდებოდა, ფარდა დაიხურებოდა.

ამ ტაკი-მასხარობის შემდეგ, ლექსების კითხვა დაიწყო და მერე ისეთის შინაარსით, რომელიც ყველამ თითქმის ხელის ხელცახოცად გაიხადა...

ასე გათავდა ეს საღამო, ასე თავდებოდა მთელს ზამთარს საღამოები და ამ გვარის წარმოდგენების ხილვით საზოგადოებას გემოვნება ეხსნებოდა!

რომ ამ წარმოდგენებს ზარალის მეტი არა მოაქვსთრა ეს ყველასთვის აშკარა არის, მაგრამ საზოგადოება, ქართულ წარმოდგენებს მოწყურებული, მაინც დადიოდა და კარგს მოკლებული, ავს მაინც უყურებდა.

მხოლოდ დრამატიული საზოგადოების მართველობას დაუხუჭავს თვალები და თავიანთის მოვალეობისთვის ზურგი შეუქცევია. საზოგადოება ითხოვს რიგიანს თეატრს და მმართველობა კი გვპირდება წლიური კრების გამართვას... უეჭველია, როდინობის კვირაში...

შინაური ქრონიკა

═ მკითხველებს ეხსომებათ, რომ წარსულს დეკემბერს მაისისათვის გადასდვეს 25 წლის იუბილეის დღესასწაულობა ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოზისა. როგორც შევიტყეთ, სინოდს მოუწერია, რომ ეპისკოპოზად კურთხევის 25 წლის იუბილეის დღესასწაულობა კი არ იქნება და შეიძლება იდღესასწაულოთ მხოლოდ 25 წლის იუბილეი ეპარხიის გამგებლობის ჩაბარებისა, ესე იგი ორის წლის შემდეგათ.

═ შაბათს, 28-ს აპრილს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ დანიშნულა სხდომა სამეურნეო საზოგადოებისა ამ სხდომაზე განიხილვენ ჩვეულებრივს საქმეებს და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან შედგენილ პროექტს შესახებ მებაღობის სასწავლებლების გადაკეთებისა.

═ სამშაბათს, 23-ს აპრილს, თბილისის სამსჯავრო პალატამ გაარჩია ბ. ვახ. თურმანიძის მოსარჩლის საჩივარი ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე, რომლის ძალითაც მას ჰქონდა გადაწყვეტილი ციმბირში გადასახლება 15 წლის ვადით. ჩვენმა მკითხველებმა იციან რა დანაშაულისთვისაც მიუსაჯა თურმანიძეს სასამართლომ ამ გვარი სასჯელი. პალატაში მოწვეულნი იყვნენ კნ. ერისთავის სიკვდილის გარემოების გამოსარკვევად თბილისის ექიმები, რომელთაც უფრო დაამტკიცეს ქუთაისის ექსპერტების ჩვენება, ვიდრე გაამტყუნეს. პალატამ ამის გამო დანაშაულათ იცნო ბ. თურმანიძე და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი. მაგრამ ამასთან შესაძლოთ დაინახა იშუამდგომლონ მისს იმპერატორებითს დიდებულებასთან ნაცვლად ამ სასჯელისა მიუსაჯოს დამნაშავეს ასტრახანის გუბერნიაში გადასახლება ათის წლის ვადით.

═ სიღნაღიდამა გვწერენ: «14-ს აპრილს ჩვენი ქართული სცენის-მოყვარე ყმაწვილებისაგან წარმოდგენილ იქმნა ქართულს ენაზედ კომედია თ. რაფ. ერისთავისა «ადვოკატები“, რომელმაც საზოგადოებაზედ კარგი შთაბეჭდილება იქონია. წარმოდგენა იყო სასარგებლოდ «ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა», მაგრამ, მოთამაშეთა სამწუხაროდ, სიღნაღის ქართველებმა ძალიან მცირედი თანაგრძნობა გამოუცხადეს ამ საქველ-მოქმედო საქმეს და ამის მიზეზით შემოსავალი შეადგენს 55 მანეთამდის. აქედგან რომ გამოვრიცხოთ სცენაზედ დახარჯული ფული, მგონია, თხუთმეტ მანეთზედ მეტი არც კი დარჩეს. მომეტებული მადლობის ღირსნი არიან ქართველი ქალები, რომელთაც არ დაზოგეს თავიანთი შრომა და მონაწილეობა მიიღეს ამ

დღემდის მოახდენდა ხოლმე საზოგადო საქმეებში აქტიურად, თუ პასიურად ჩარევა ბესარიონ ლოლობერიძისძეთა ტრიუმვირატის — ყოვლად შეუძლებელია, თუ კაცი ცოტაც არის მაინც დაახლოვებით არ გაეცნობა იმ (დიდს თუ მცირეს, ჩვენ ამაზე არაფერს ვიტყვით,) ღვაწლს, რომელიც მიუძღვისთ მათ წარსულში.

30—25 წლის წინედ, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში, ისე იმერეთშიაც რუსული წერა-კითხვის უბრალო მცოდნესაც კი, სიბრძნის უჯრად თუ არა, «ნასწავლ» და ძლიერ სასარგებლო კაცად მაინც სთვლიდენ, რომელთან კავშირი ყველას სასურველად და დიდად გამოსადეგად მიაჩნდა... იმ დროში, როცა ჩაფი ღვინო შაურად ღირდა და ნასუქი ძროხა სამ მანეთად, რასაკვირველია „ნასწავლ“ და «სასარგებლო» კაცად უნდა ჩაეთვალათ იმისთანა კაცი, რომელმაც იმოდენად იცოდა რუსული, რომ არზის წერას შესძლებდა, ჭაპანის-წყვეტით აპელაციასაც მოახერხებდა, და სასყიდლად აიღებდა სამიდამ ათს მანეთამდის, ან და სახელმწიფო სამსახურში რამდენიმე ათს თუმანს ელირსებოდა ჯამაგირად... აი ამისთანა დროს დაბრუნდა იმერეთში პეტერბურგის უნივერსიტეტის (იურიდიკულ ფაკულტეტზე) კურს-შესრულებული გიორგი ბეს. ლოლობერიძე, თითქმის ერთად-ერთი უმაღლეს სწავლა მიღებული იმ დროში. უნივერსიტეტში კურს-დასრულებული კაცი, რასაკვირველია, გონებით და ზნეობით დიდად გამოჩნდა უმეცართ მჯლაბნელთა და ცხოვრების გზა გამრუდებულთ შორის... ჯერ ლეჩხუმის მაზრის უფროსის და მერმე მაშინდელს ქუთაისის თანამდებობაზე გენერალ-გუბერნატორის სვიატოპოლკი მირსკის წინაშე განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელეს ადგილზე—ის შეიქმნა გავლენიანი პირი საზოგადოებისთვის ადგილობრივს მთავრობის წინაშე, და მთავრობისთვის საზოგადოებაზე... როდესაც ბატონ-ყმობის მოსპობის დროს პირველთა სახელობაზედ გამოვიდა სამაგიეროდ დასაჯილდოვებელი ფული, მაშინ გ. ლოლობერიძე იმერეთში პირველი მეთაოსნე იყო იმ საპატიო პირთა შორის, რომელნიც დაჟინებით სცდილობდნენ, რომ უწყებული პროცენტი იმერეთისათვის უზნაესად გამოცემულის მთელის თანხისა გადადებულ იქმნასო სათავად-აზნაურო ბანკის დასაარსებლად. სვიატოპოლკ—მირსკის დროს ეს აზრი შეწყნარებულ იქმნა მმართებლობისაგან და ნაჩვენები პროცენტებიც გადადვეს... სასამართლო რეფორმების შემოღების დროს გ. ლოლობერიძე შეიქმნა ნაფიც—ვექილად. ამ წოდებაში, პირველ ხნობით მაინც ის ნამდვილი რაინდი იყო სიმართლის დაცვისა და ხელ-მოკლე კაცთა მეოხი უცხო ნიადაგზე დანერგულის ახალი სასამართლოს წინაშე... თ. ნ. წ., რომ გამოვიდა თავად-აზნაურთა წინამძღოლის კენჭის საყრელად და არჩეულიც იქმნა, მან ძმებითურთ შეადგინა მის წინააღმდეგ მძლავრი ოპოზიცია, რომელმაც კიდეც ჩამოაგდო ნ. წ. წინამძღოლის ადგილიდამ. შემდეგ ამისა ნ. წ—ს მიემხრო გრ. ლე—ვი, მაგრამ გონიერად წარმართული ოპოზიცია ამ შემძლე დამხმარებელსაც ღირსეულად გაუმკლავდა და კვლავ გაიყვანა თვისი კანდიდატი წინააღმდეგ ბ. ა—შვილისა. მაშინ გაბოროტებული ნ. წ—მა და გრ. ლ—მა ნახსენების ოპოზიციას რომ ვერაფერი დააკლეს, მოინდომეს ჯავრის საზოგადო საქმეზედ ამოყრა და შეუდგნენ ცდას, რომ ბანკის დასაარსებლად გადადებული ფული შეტანილ ყოფილიყო სახელმწიფო ბანკში უვადოდ, და ქუთაისში კი არამც-და-არამც აზნაურობის ბანკი არ დაარსებულიყო. ამ დროს, ბ. ლოლობერიძემ წინწამოაყენა. თბილისის გუბერნიაში სახალხო სკოლათა დირექტორად მყოფი თავის ბიძაშვილი ბესარიონ ლოლობერიძემ, რომელმაც შეადგინა საბანკო წესდება. აზნაურობამ ითხოვა გადადებულ ფულით ქუთაისში უკვე დიდი—ხნით განზრახულის ბანკის დაარსება და, წინააღმდეგ ნ. წ. და ლ—ის ოინებისა, თავისი გაიტანა... ახლად დაფუძნებულის ბანკის გამგეობის თავს მჯდომარედ ამოირჩიეს ბეს. ლოლობერიძევე... ამის ამორჩევა ისე შეუძლებელი იქნებოდა თუ მას არ დახმარებოდა გიორგი ლ—ძის სახელი როგორც შემდეგ ნიკ. ლოლობერიძის არჩევაც თუ მას არ შესწევოდა მიცვალებულის ბესარიონ ლოლობერიძის დატოვებული თავ-დადებული მოღვაწის სახელი...

თავიდამვე დაწყებული ამ დრომდის გ. ლ—ძის სახელი, რომელმაც თავის ქედზე გამოიყვანა ძმანი და ბიძაშვილიც იყო სინონიმი მოწინავე აზრისა, მოქალაქობრივი პატიოსნების და კეთილ შობილურის მოსწრაფებათა...

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეში. ქომედიას თამაშობდენ ა. ნაცვალოვისა, ა. ნაცვალოვის ასული, დ. დოდაევის ასული, ბბ. ანდრონიკაშვილი, ქიტიაშვილი, ნაცვლიშვილი, ცისკარაშვილი, ჩახნაშვილი და სხვ. წარმოდგენა იყო სიღნაღის «კეთილ-შობილთ» კლუბში თვით კლუბის უფროსების ნებართვით. მაგრამ, როგორც ისმის, ზოგიეთა წევრებს კლუბისას, დიდი ალიაქოთი ჰქონიათ მეორე დღეს—როგორ გაბედეს, რომ ჩვენ ნება არა გვთხოვეს კლუბში წარმოდგენისაო! ის პირები ყოფილან: ერთი, რომელსაც უწოდებენ სიღნაღის «ღენერალ-ღუბერნატორს» და მეორეს „перечница». ჩვენ კი დიდი მადლობელნი უნდა ვიყოთ იმ პირებისა, რომელთაც წარმოდგენა გამართეს და ვისურვოთ, რომ ამისთანა საქველ-მოქმედო საქმეს თანაუგრძნონ, სიღნაღის ქართველებმა და ყმაწვილმა კაცობამ არ დაიშუროს მისთვის თავისი ძალ-ღონე».

«დროების» კორესპონდენცია.

სურები. (გურია) 20 აპრილს. თითქმის ყოველთვის და ყველაფერში დაჩაგრულს და დატანჯულს სურების საზოგადოებას ამ გაზაფხულის დასაწყისმა მოუტანა ისეთი საქმის დასაწყისი, რომლის სისრულეში მოყვანა დიდ სარგებლობას და შეღავათს უჩვენებს ამ საზოგადოების მცხოვრებთ. მე ვამბობ ჩვენში საზოგადო გზის გაყვანის დაწყებაზედ.—მოგეხსენებათ, რომ სურების სოფლის მდებიარობას შეადგენს მარტო ფრიალო და კედელსავით პირდაპირ ამართული მთების, რის გამოც აქაური მცხოვრებნი მუდამ თოხებით და არნადებით ხელში ეწინაამდეგებიან ამ ბუნების ნაკლულევანებას და დიდის ვაი-ვაგლახით სთხრიან ამ ფრიალო მთებს, რომ ნათხარ მიწაზედ, მერცხლის ბუდესავით, დასდგან თავიანთი სახლები, ან გამოთხარონ სამეზობლო მისავალ-მოსავალი, ყანებისა და ბაღჩების გზები; საზოგადოდ ყოველივე ნაბიჯის გადასადგმელად ამ საზოგადოების შვილს უწინ უნდა გზა ჰქონოდეს მომზადებული. ამნაირად ჩვენი ხალხი მუდამ გზებს აკეთებს, მაგრამ მუდამვე უგზოობა სულს გვართმევს და ვერ ვიცდენთ თავითგან იმ ათას-ნაირ ფათერაკს და უბედურებას, რომელნიც უგზოობისაგან წარმოსდგებიან. რასაკვირველია, საზოგადო შარა-გზის გაკეთება ჩვენთვის, მარტო ჩვენი სოფლელების ძალით, შეუძლებელი იყო და აქამომდე მოკლებულნიც ვიყავით ამ საუნჯეს; მაგრამ ამ გაზაფხულის დამდეგს, ბ. გუბერნატორის განკარგულებით და მაზრის უფროსის და პრისტავის მეცადინეობით მიეცათ მცხოვრებთ ამ გზის გაკეთების საშუალება, გაუმართეს მათ ხელი წამლით და სამუშავო იარაღებით და იმათაც დაიწყეს ერთგულად მუშაობა. გზა კეთდება საკმარისად ფართო, საშუალო რიცხვით საჟენ-ნახევარი. სწორედ სანატრელი და ბედნიერი საქმეა ჩვენთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, პლანის გაყვანა მიუნდვიათ იმისთანა სოფლელებისათვის, რომელთაც გზის ღირსებად მარტო სიფართოვე მიაჩნიათ და იმასათვის კი ყურადღება არ მიუქცევიათ, რომ ბევრს ალაგს ისეთი აღმართ-დაღმართებია, სადაც ცოტათი წვიმა მოსულზედ ვერც ცხენი და ვერც ადამიანი ფეხს ვერ მოიკიდიებს. დიდად საჭირო კი იყო, რომ მთავრობასვე გამოეგზავნა რიგიანი პირი პლანის გასაყვანად, თუ არა ინჟინერი, გამოცდილი და საქმის გვარიანად მცოდნე კერძო კაცი მაინც; ან უნდა ებძანებინა გზის გაკეთება ამ ხუთი წლის წინად გაყვანილ პლანზედ, რომელიც პლანადვე დარჩა და გაცილებით სჯობია ახალს პლანს, თორემ ბევრი ახლანდელი მუშაობა ფუჭად ჩაივლის. აგრეთვე საჭიროა ყურადღების მიქცევა მაზედაც, რომ მუშები ლაღუმებს ფრთხილად ვერ ეპყრობიან და ბევრი მათგანი იჭრება და ხშირად სამუდამოდაც მახინჯდება.

რასაკვირველია, ჩვენს მთებში ამისთანა გზის გაყვანა დიდს და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს და საცოდავობა იქმნება, რომ მარტო სურებლებს დაადვან კისერზედ ეს მუშაობა; ამათ ისიც ეყოფათ შრომად, რომ ეს გზა, სადაც საშინელი მიწის ზვავები და მთის ოდენა ქვები ხშირად ჩამოწვებიან ხოლმე, შეინახონ გაკეთების შემდეგ; ახლა გაკეთებაზედ ძლიერ კარგი იქმნება—დაეხმარონ ის მახლობელნი საზოგადოებანი, რომელთაც ან სრულებით არ ეჭირვებათ გზის კეთება და თუ ეჭირვებათ—ძალიან ცოტა. ადგილობრივი მცხოვრებნი დიდის სიხარულით შესცქერიან ამ საქმეს და არც ზოგავენ თავს მის სისრულეში მოყვანისთვის. მხოლოდ ერთი გარემოება ძლიერ აწუხებს მათ: ახლა არის ჩვენში დრო ხვნა-თესვისა და სწყდება წლიური მოსავალის ბედი. რასაკვირველია ახლა ხალხის მოცდენა საცოდაობაა და ამისთვის ძლიერ კარგი იქმნება შესწყდეს გზის მუშაობა, სანამ არ დათესვენ და დამარგლიან ყანებს და მერე—მარიამობის თვეში—ისევ გამოიყვანონ მუშები.

რადგანაც სურების გზაზედ გვაქვს საუბარი, არ შემიძლიან უყურადღებოდ გავუშვა ერთი საგანი, რომელიც აქ აღმოჩენილა.—ამ გზის მუშაობის დროს ერკეთის საზოგადოებაში (სურების გზის ნაწილს, მდებარეს ერკეთის საზოგადოებაში, აკეთებენ ამ საზოგადოების მცხოვრებნი) მუშებს უპოვნიათ მიწაში რაღაც შავს ლითონზედ ამოჭრილი კაცი; ამათ ეს ნახატი ქრისტიანულ სალოცველ ხატად მიუღიათ და იქვე დაუსვამთ პატარა, ლამაზად გათლილი ფიცარი, რომელზედაც დიდის პატივისცემით დაუსვენებიათ ეს ნახატი და ქვეშ მიუჭედიათ პატარა ყუთი, სადაც გამვლელ-გამომვლელნი ფულებს აგდებენ. მაგრამ დარწმუნებით შემიძლიან ვსთქვა, რომ ის არავითარი ქრისტიანული სალოცავი არ არის. რადგანაც დიდი პატივისცემით და მოკრძალებით არის ამოჭრილი ეს ლითონი, შეიძლება, ეს ნახატი იყოს რომელიმე ჩვენი წარმართობის დროის ღმერთი, მაგრამ ქრისტიანული კი არაფერია. უფრო ამ ნახატის გარეგნობა ომის ღმერთსს (თუ კი ის გვყავდა როდისმე და ან ეს ნახატი ჩვენს ხალხს ეკუთვნის) მოგაგონებს. ქაცი შემოსილია რაღაც უკერავი, მრგვალი და გრძელი სამოსლით, რომელიც კისერს არ ჰფარავს; თავზედ ხურავს რაღაც-ნაირი ქუდი, რომელიც საშუალო საუკუნოების რაინდების საომარ ქუდებს (шлемъ) ცოტათი მოგაგონებთ; წვერ-ულვაში არა აქვს ამ კაცს (შეიძლება ქალიც იყვეს) და ხელები და ფეხები არ არიან სრულად ჩამოსხმულნი. ჩემის აზრით, ამ ნახატის ნახვა და განხილვა რომელიმე არხეოლოგისაგან, ან ისტორიის გვარიანად მცოდნე კაცისაგან უმნიშვნელო და უაზრო არ იქმნება. მე ძალიან ძველი დროისა მგონია ეს ნახატი, და თუ ეს ასეა, მაშინ, სხვათა შორის, ძველებურ ჩვენ ხელოვანებაზედაც შეიძლება კაცმა შეადგინოს ცოტაოდენი ცნობა. რომ არავითარი ისტორიული მნიშვნელობაც არ ქონდეს ამ ნახატს, იმის იმ ადგილიდგან ამოთხრა და წამოღება მაინც საჭიროა, რადგანაც ხალხი თაყვანსასცემს რაღაც წარმართულს კერპს.

სურებელი.

სამართალი

აზიური ექიმის ვახთანგ თურმანიძის საქმე თბილისის სამოსამართლო პალატაში.

მკითხველებს მოვაგონებთ, რომ შარშან, დეკემბრის 1-ს, ქუთაისის ოლქის სამსჯავრომ გაარჩია საქმე აზიური ექიმის ვახთანგს თურმანიძისა რომელსაც ბრალდებოდა კნეინა დესპინე ერისთვის მუცლის წახდენა, რის შედეგიც ამ უკანასკნელის სიკვდილი იყო *). სამსჯავრომ, როგორც მკითხველებსაც ეხსომებათ, გადაუწყვიტა თურმანიძეს ყოველივე ღირსების ახდა და ირკუტსკის გუბერნიაში საცხოვრებლად გაგზავნა 15 წლით.

ამ გარდაწყვეტილებაზე თურმანიძის მოსარჩლემ, ბ. ბორდიევსკიმ, შეიტანა აპელეციური საჩივარი თბილისის სამოსამართლო პალატაში, რომელმაც წარსულს სამშაბათს, 24 აპრილს, განიხილა ეს საინტერესო საქმე.

თავმჯდომარედ იყო ბ. ოგოლინი, ხოლო წევრებად: ბ. მიხაილოვი და ბულატნიკოვი. ამტყუნებდა პროკურორის ამხანაგი ბიკოვი; ექსპერტებად იყვნენ მოწვეულნი: მედიცინის დოქტორი ანანოვი, ქალაქის ექიმი რუდკოვსკი, გომეოპატი დოქტორი რეიხენბახი და ქიმიკოსი სტრუვე. საქმე მოახსენა პალატას წევრმა ბ. ბულატნიკოვმა იმ სახით, როგორც არის აწერილი ჩვენის გაზეთის შარშანდელს 256 № ში.

ბ. ბორდიევსკი თავის აპელაციურს საჩივარში ამტკიცებდა, რომ დესპინე ერისთავის სიკდილის მიზეზი ნამდვილად საშვილოსნოდამ სისხლის დენა იყოვო. ისიც ნამდვილია, რომ ეს სისხლის დენა გამოიწვია მუცლის წახდენამაო, მაგრამ მუცლის წასახდენი საშუალება თურმანიძეს არ უხმარია,—კნეინა ერისთვისას, ვიდრემდის თურმანიძესთან მივიდოდა, უკვე ჰქონდა ნახმარი ეს საშუალება და თურმანიძესთან მივიდა მხოლოდ იმისთვისა, რომ მას საშვილოსნოდგან სისხლის დენა შეეჩერებინა, რაიცა დაემართა კ—ნა დესპინეს ხსენებული საშუალების მიღების შემდეგაო. ამ საჩივარში ბ. ბორდიევსკი, სხვათა შორის, იმისაც ამტკიცებდა, რომ მედიცინურს ოქმებს, რომელნიც ამ საქმის თაობაზე არიან ექიმების მიერ შემდგარნი, ბევრი არაფერი დაეჯერებაო, იმიტომ, რომ ექიმები არ შეიძლება არა მტრობდენ თურმანიძეს, რადგანაც უკანასკნელს განათლება არსად მიუღია, მაგრამ ისეთი სახელი აქვს გავარდნილი როგორც დაბალ ხალხში, აგრეთვე ადგილობრივ მაღალ წოდებაშიაც, ისეთი პატივისცემა აქვს დამსახურებული, როგორიც არც ერთს განათლებულს ექიმს არ ექნებაო, და ადვილად საფიქრებელია, რომ ამ გარემოებას აღეძრა მტრობა და შური ექიმებისა თურმანიძისადმი და ამის გამო ისიც შესაძლებელია, რომ მათგან შედგენილნი ოქმნი პირითვნელნი არ უყვნენო. ბ. ბორდიევსკი იმის დასატკიცებლად, რომ ექიმებმა იციან ამ გვარი შურის-ძიება და მტრობა, მოჰყვანდა სხვა-და-სხვა მაგალითები პრაქტიკიდამ.

ამას გარდა, ბორდიევსკი სთხოვდა პალატას თავის საჩივარში წაეკითხათ ის მოწმობები, როლელნიც თურმანიძესა ჰქონდა მიცემული სხვა-და-სხვა ოფიციალურ პირთაგან და რომელთა წაკითხვაზე ქუთაისის ოქლის სამსჯავრომ უარი უთხრა მას.

როდესაც მოხსენება გათავდა, თავმჯდომარემ ჰკითხა პროკურორის ამხანაგს—ხომ არაფერი გაქვთ ამ მოწმობების წაკითხვის წინაამდეგაო, და როდესაც პროკურორის ამხანაგი თანახმა გახდა, მომხსენებელმა წევრმა წაიკითხა რამდენიმე მოწმობა, რომლებშიაც სხვა-და-სხვა ოფიციალურნი პირნი დიდს მადლობას უცხადებდენ თურმანიძეს მათი, ან მათი შვილების ჩინებული წამლობისა და მორჩენისათვის. საყურადღებო ის არის ამ მოწმობებში, რომ ყველა ის პირნი, რომელთაც მოწმობები მიუციათ თურმანიძისთვის, ყოფილან ავად ან დაჭრილობით, ან ძვლები ჰქონიათ მოტეხილი, და ყველანი ერთხმად ამბობენ, რომ, როდესაც ნასწავლს ექიმებს მივმართავდით, ყველანი იმას გვეუბნებოდენ, თუ დაჭრილი, ან გატეხილი არ მოიჭერით, სხვაფრივ თქვენი შველა არ შეიძლებაო; მაგრამ თურმანიძემ თავის ხელოვნური ექიმობით დაამტკიცა, რომ ეს აზრი შემცდარია და ასოს მოუჭრელადაც შეიძლება მორჩენაო.

---

*) იხ. «დროება» 256 № 1883 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ თავმჯდომარემ ექსპერტებს გამოუცხადა, რომ იმათ სამი კითხვა უნდა აუხსნან სამჯავროსა: 1) დესპინე ერისთვის მუცლის წახდენა ნამდვილია, თუ არა, და 2) თუ ნამდვილია, სიკვდილს რამდენი ხნის წინად და რა საშუალებით წაჰხდენია მას მუცელი? შემდეგ თავმჯდომარემ გარდასცა ექსპერტებს მთელი საქმის წარმოება და სთხოვა ექსპერტებისთვის დანიშნულს ოთახში გაბძანებულიყვნენ, გულმოდგინედ გაესინჯათ საქმე, მოელაპარაკნათ და თავიანთი დასკვნა მოახსენებინეთ პალატისთვის. ექსპერტები გავიდნენ ოთახში და პალატამაც ერთს საათს შესწყვიტა სხდომა.

როდესაც სხდომა განაახლეს, დოქტორმა ანანოვმა მოახსენა პალატას ყველა ექსპერტების მაგივრად შემდეგი: რადგანაც მუცლის წახდენა ეწოდება იმ მოვლენას, როდესაც ნაყოფი სრულიად განშორდება საშვილოსნოს და გარედ გამოვა, და რადგანაც საქმიდგან სჩანს, რომ ნაყოფი სრულიად არ განშორებია საშვილოსნოსა და ისევ გვამში დარჩენილა, ამისათვის ეს კითხვა ცოტა უნდა შეიცვალოს, ე. ი. მუცლის წახდენა კი არა, მუცლის წახდენის წადილი უნდა ვუწოდოთ. შემდეგ ანანოვმა გამოაცხადა, რომ რაც საქმეში საბუთებია მოყვანილი ამ შემთხვევის შესახებ, ყველანი აშკარად ამტკიცებენ, რომ კ—ნა დესპინე ერისთვის სიკვდილი არის შედეგი საშვილოსნოდგან ბევრი სისხლის დენისა და ეს სისხლის დენა დამართვია მას იმისაგან, რომ კნეინა დესპინეს მუცლის წახდენა მოუწადინებია. საქმიდგან ისიც ნათლად სჩანს, რომ კნეინა დესპინეს მუცლის წასახდენად ორ-გვარი საშვალება ნახმარი: დასალევი წამალი და მეხანიკური საშუალება. ერისთავისას რომ ნამდვილად რაღაც წამალი დაულევია, ამას ამტკიცებს გაჭრა გვამისა და ქიმიურად გამოკვლევა. ის მდგომარეობა, რა მდგომარეობაშიც შიგნეულობა ნახეს ექიმებმა გამოკვლევის დროს, ნათლად ამტკიცებს, რომ ერისთეისას რაღაც წამალი უნდა მიეღოს, მაგრამ რა წამალი უნდა ყოფილიყოს ეს, ამის თქმა არ შეუძლიანთ; ნამდვილი მხოლოდ ის არის, რომ იმ ოქროს ფერ ზეთს, რომელიც ექიმებმა ნახეს გვამში, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამ წამალს გამოუწვევია საშვილოსნოს ანთება პატარა ადგილას, მოუშორებია საშვილოსნოსთვის ნაყოფი და ამას, რასაკვირველია, ზედ სისხლის დენა მოჰყოლია. ეს წამალი ისეთი წამალი უნდა ყოფილიყოს, რომელიც მალე მოქმედობს სხეულზე; ამის გამო ის უნდა იყოს მიღებული ერთის, ან ორი საათის წინად სიკვდილამდინ, სწორედ იმ დროს, როდესაც თურმანიძე იყო კნეინასთან. იმოდენა სისხლის დენა, რამდენიც კნეინა ერისთვისას სდენია, მარტო ამ საშუალებით შეუძლებელია; საქმიდგან აშკარად სჩანს, რომ ამასთანავე სხვა გარეგანი, მეხანიკური საშუალებაც არის ნახმარი, ე. ი. ცხადია—ცდილან ნაყოფის საშვილოსნოდგან განშორებას რაღაც ისტრუმენტით და არა ხელით, როგორც მედიცინურს ოქმებშია ნათქვამი. ამ საშუალებით ნაყოფი უფრო მეტად მოშორებია საშვილოსნოს და ამის გამო დამართვია კ-ნა ერისთვისას ის საშინელი სისხლის დენა, რომლის მსხვერპლადაც შეიქმნა იგი. თუ ეს საშუალება არა ყოფილიყო ხმარებული, სხვა საშუალებით ამოდენა სისხლის დენა და ასე ერთბაშად არ შეიძლებოდა. ანანოვის სიტყვით, ყოვლად შეუძლებელია თურმანიძის ჩვენება, ვითომც კნეინა ერისთვისას, ვიდრემდის იმას—თურმანიძეს—ნახავდა, სისხლი სდენოდა, საშვილოსნო ასოზე მჩვრები დაეფარებინა და ამ გვარად შეეჩერებინა სისხლის გარედ დენა. ამ გვარად სისხლის შეჩერება შესაძლებელია, და ისიც ცოტა ხანს, მხოლოდ მაშინ, თუ ის პირი, ვისაც სისხლი სდის, წევს; როგორც საქმიდგან სჩანს, თურმანიძის მეორედ მისვლამდინ კნეინა ერისთვისა თითქმის სულ დაიარებოდა და, მაშასადამე, შესაძლებელი არ არის, რომ იმას თურმანიძის მისვლამდინ სისხლი ჰქონოდესო.

საზოგადოდ ამ დასკვნას ყველა ექსპერტები ეთანხმებოდენ გარდა დოქტორი რეინბახისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ კ-ნა ერისთვის მუცლის წასახდენად მარტო დასალევი წამალი არის ნახმარებიო. იმის სიტყვით, არიან ისეთი წამლები, რომელნიც მაშინვე კი არა, რა წამვე მიიღებიან, რემდენიმე ხნის შემდეგ მოქმედობენ ადამიანის სხეულზედაო, ე. ი. ხუთი, ათი საათის და ხშირად ერთი დღის შემდეგაცაო. როგორც საქმიდგან სჩანს, კ-ნა დესპინე ერისთვისას უნდა დაელიოს ერთი ამ გვარი სასმელი ან დილით, თურმანიძესთან წასვლის წინად, ან წინა-დღითაო.

(დასასრული ხვალ)

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთ სააგენტოსი“)

24 აპრილს.

პეტერბურგი. უმაღლესად დამტკიცებული სამხედრო რჩევის დადგინება: ნება ეძლევათ ცოლებს იმ სალდათებისას, რომელნიც ან გაქცეულნი არიან ან ომში დაკარგულან, ან მტერს დაუტყვევებია ხუთის წლის შემდეგ გაყრის ნება ითხოვონ; ამ თხოვნასთან ერთად უნდა წარდგინონ უნდა იქნას მოწმობანი იმ ადგილების საქალაქო, ანუ სამაზრო პოლიციურ მართველობათა, სადაც მათი ქმარნი სამსახურში შესულან. აგრეთვე მოწმობა—როდის გაქცეულან, ან დაკარგულან, ან დაუტყვევებიათ და კიდევ იმაზედ, რომ ისინი ჯერ არსად უპოვიათ.

დღეს, შეადღის შემდეგ 3 საათზედ, ნაფიცთ მსაჯულთა განაჩინეს სამართალი «შავის ბანდისა» მონაწილეთათვის, რომლის ძალითაც ყველა ბრალდებულნი დამნაშავედ. იცნეს ოლქის სამსჯავრომ განუჩინა: რაბუტოვსკის, კოტოვიჩს, კორნილოვს გაგზავნა საცხოვრებლად—ორს პირველს ტომსკის გუბერნიაში, კორნილოვს-კი არხანგელსკისაში; დუბეცკის და გრიაზნოვს სატუსაღო როტებში: დუბეცკის ორ ნახევარი წლით, გრიაზნოვს ორის წლით, მხოლოდ ზარუდნის—სამუშაო სახლში შვიდის თვით.

სტავროპოლი-კავკასია. დღეს აქაურმა სამჯავრომ განიხილა საქმე პოლტავის გუბერნიის გლეხის ლისტოპადოვისა, რომელსაც აბრალებენ მორი....-ს (გვარი გარკვევით არა სწერია) ოჯახობის ამოწყვეტას მოსამსახურითურ-სულ ექვსი კაცისას. დამნაშავე ლისტოპადოვი არ გამოტყდა, მხოლოდ აღიარა, რომ სხვა პირებთან ერთად მონაწილეობას იღებდა; ეს პირნი მან არ დაასახელა და ჯერ არც ნაპოვნი არიან. ლისტოპადოვს სამჯავრომ გადაუწყვიტა კატორგა უვადოთ და მადნებზედ მუშაობა.

ბერლინი. მთავრობის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი ასაფეთქ ნივთიერებათა ბოროტად ხმარების შესახებ წარედგინა მოკავშირეთა რჩევას განსახილველად.

კაირი. ინგლისის ოფიცრები ათვალიერებენ ადგილებს ნილოსის აყოლებაზედ. სუაკიმში მშვიდობიანობაა. ეგვიპტის მთავრობას სურს კონფერენციაში მონაწილეობა მიიღოს, ისე მაინც, როგორც მრჩეველმა და მოთათბირემ.

ლონდონი. გორდონმა ბერინგს ტელეგრამა გაუგზავნა, რომელშიაც ჩივის, რომ ინგლისის ჯარს ბერბერში არა გზავნიან და ამბობს:—თუ ხართუმში გამაგრება შეუძლებელი იქნება, ეკვატორისკენ დავიწევო; დასასრულ, გორდონი გამოსთქვამს თავის აზრს, რომ ინგლისს დიდი შრომა და ჯაფა დასჭირდება მახდის აჯანყების დასათრგუნველად. ხოლო, დათრგუნვა საჭიროა, უკეთუ სურთ ეგვიპტეში მშვიდობიანობა დაამყარონ.

25 აპრილს

პეტერბურგი. «პეტერბურგის უწყებები» ამბობენ, რომ რუსკო-ამერიკის ელევატორების საზოგადოების დაფუძნება რამდენიმე ხნით გადიდვაო, რადგან ზოგმა ბირჟის კომიტეტები და კერძო ფაბრიკანტები ამტკიცებენ ამ საქმის მავნებლობას რუსეთის ვაჭრობისათვის.

ნიუ-იორკი. აქაურმა ზღვის ნაციონალურმა ბანკმა გუშინ უეცრად მოსპო თავისი საქმეები.

პარიჟი. «ჟურნალ—პარი» იმ აზრისაა, რომ საფრანგეთის ჯარები მხოლოდ მაშინ დასტოვებენ ტონკინს, როდესაც ჩინელები სამხედრო ხარჯს გადაუხდიან საფრანგეთს.

განცხადებანი

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25$^0/_0$-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—2)

ფოთის
ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მთავრობის ნება-რთვით

ქალაქს ფოთში

წესდება ყოველ-წლიური

იარმარკა

რომელიც გაიხსნება ამ წლის პირველს მაისს და გაგრძელდება შვიდ დღეს. (3—1)

Доз. ценз. Тифлисъ, 25 Апрѣля 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.